

დენტოლოგიური ინფორმაციული სისტემის ძირეული თავისებურებები

მაია არჩუაძე^ა
ნია ხაჩიძე^ბ

^აელ-ფოსტა: maia.archuadze@tsu.ge
^ბელ-ფოსტა: nia_khacho@yahoo.com

^აკომპიუტერული მეცნიერებები, ტექნიკური ინფორმატიკა,
თსუ, თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქ #13
^ბ თსუ მედიცინის ფაკულტეტი
თსუ, თბილისი, 0186, ჭიაურელის ქ #2

სამედიცინო დანიშნულების ინფორმაციული სისტემები ე-მედიცინის ერთერთ წამყვან კომპონენტს წარმოადგენს. დენტოლოგიაში ინფორმაციული სისტემების შემუშავება/დანერგვა და ხელმისაწვდომობა ღია ინტერნეტ რესურსების სახით გაზრდის პაციენტთა (მათ შორის პოტენციურ) ინფორმირებულობის დონეს და დაეხმარებს, როგო შიშის ფაქტორების დაძლევაში. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს დროული მკურნალობის ჩატარებას და ეფექტურობას. ასეთი ტიპის ინფორმაციული სისტემა უნდა შედგებოდეს ორი ძირითადი მოდულისაგან „პაციენტი“ და „კლინიკა“. მოდულის „პაციენტი“ ძირითადი ფუნქციები: მონაცემები ყოველი პაციენტის შესახებ გაზიარებული წვდომის შესაძლებლობით (გასათვალისწინებელია კონფიდენციალურობა, მაგრამ უნდა არსებობდეს შესაძლებლობა მონაცემების ნახვის ექიმის შეცვლია შემთხვევაში). მოდულის „კლინიკა“ ძირითადი ფუნქციები: მონაცემთა ბაზა სერთიფიცირებული ექიმების შესახებ, მონაცემთა ბაზა კონკრეტულ კლინიკაში კონკრეტული სამკურნალო სსაშუალებების შესახებ, ვირტუალური კონსილიუმის მოწყობის შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის (პაციენტისათვის) საცნობარო სისტემა უვნებელი დასაშვები თვითმკურნალობისათვის. სისტემას უნდა ჰქონდეს მოქნილი სამომხმარებლო ინტერფეისი. აღნიშნული სისტემის ლოგიკური სქემა შემუშავებულია. მიმდინარეობ ცალკეული მოდულების დეტალური დაპროექტება.